კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს პატივის უპირატესობა და ქალკედონის კრების 28-ე კანონი

გოჩა ბარნოვი

მსოფლიო საპატრიარქოს კანონიკური უფლებები განისაზღვრა ძველი და ახალი რომის საყდრების „თანასწორი პატივის უპირატესობის“ მიხედვით, რაც დასტურდება მსოფლიო კრებების მოქმედების პრინციპითა და შესაბამისი გადაწყვეტილებით. ეს გადაწყვეტილებები შეხამებულ იქნა საეკლესიო პრაქტიკასთან ეკლესიის ერთობის, ზიარი სარწმუნოებისა და კანონიკური წყობის დასაცავად.

ამ პრივილეგიების აღიარება იუსტინიანეს კანონმდებლობის მიერაც მოხდა, რასაც იმპერიის საკანონმდებლო სისტემაში პენტარქიის ჩართვა მოყვა. ამ აქტმა ერთგვარად გააძლიერა პენტარქიის ძალმოსილება და ავტორიტეტი, და განსაკუთრებით რომისა და კონსტანტინოპოლის საყდრების პოზიციების ხასიათი. რა თქმა უნდა, ეს პრივილეგიები ყველა დონეზე საეკლესიო მართველობის მოწყობის „პირველი საყდრის“ უფლებებს უკავშირდებოდა, რადგან „პირველი საყდრის“ ეპისკოპოსს ადგილობრივი ეკლესიის თავის ადგილი ეკავა და იწვევდა მის იურისდიქციაში მყოფ ეპისკოპოსთა კრებას და თავმჯდომარეობდა მას (მოც. 34).

„პირველი“ ყველა საეკლესიო დონეზე, როგორც სხეულის თავი, აუცილებელი კანონიკური პრინციპია კრებითობის სისტემის მოქმედებისათვის. ეს პრინციპი უმთავრესია არა მხოლოდ სამიტროპოლიტო და საპატრიარქო, არამედ მთელი საეკლესიო ერთობის დონეზე მსოფლიო კრების მოწვევის, შედგენისა და მოქმედებისათვის. ხუთ პატრიარქს, როგორც საეკლესიო სხეულის (საპატრიარქო დონეზე) თავებს, უნდა ჰყოლოდათ „პირველი“ და ამიტომაც, განისაზღვრა საპატრიარქო საყდრების თავმჯდომარეობის წყობის კანონიკური პრინციპი, სადაც ძველი რომის საყდარს ჰქონდა „პატივის უპირატესობის“ პირველი ადგილი, ხოლო კონსტანტინოპოლს მეორე ადგილი ამ წყობაში,

„რადგან ის არის ახალი რომი“ (მე-3 კან.); მაგრამ, ქალკედონის მსოფლიო კრების შემდეგ, საპატრიარქო სისტემის დამკვიდრებით, კონსტანტინოპოლს მიეცა „თანასწორი პატივი“ ძველ რომთან მიმართებით (28-ე კანონი). საეკლესიო სისტემის დახვეწამ ხელახლა განსაზღვრა ეპისკოპოსთა ხელდასხმისა და განსჯის უფლებების სამართლის მთელი სისტემა (პრინციპი, ხელდამსხმელი განსჯის და განმსჯელი ხელს ასხამს).

პირველი საყდრის პრივილეგიებთან დაკავშირებით, პენტარქიის სისტემიდან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესია ე.წ. სააპელაციო უფლება, რომელიც რომსა და კონსტანტინოპოლს ჰქონდათ: განიხილონ საქმეები სააპელაციო წესით სხვა საპატრიარქოებისაგანაც (ქალკ. მე-9 და მე-17 კან).

ამ მოხსენების მთავარი ღერძია ქალკედონის მსოფლიო კრების 28-ე კანონის მნიშვნელოვნება და მისგან გამომდინარე შედეგები.

იმთავითვე ვიტყვით, რომ ამ კანონის მეშვეობით, ქალკედონის კრებამ de jure დაამტკიცა ის მდგომარეობა, რომელიც ათწლეულების მანძილზე უკვე არსებობდა საეკლესიო ცხოვრებაში; კერძოდ, კონსტანტინოპოლის ეკლესიასთან მიმართებით ჩამოყალიბდა როგორც პოლიტიკური, ისე მისიონერული ხასიათის პირობები, რაც იმას გულისხმობს, რომ ამ საყდრის უფლებები და იურისდიქცია გასცდა ბიზანტიის იმპერიის საზღვრებს. მეორე მსოფლიო კრების მამებმა გააცნობიერეს ეს ისტორიული მდგომარეობა, რამაც ქრისტიანობის გავრცელების ახალი პირობები წარმოაჩინეს და ამიტომაც, მე-3 კანონის მეშვეობით, შესაფერი ადგილი განუსაზღვრეს ეკლესიას, რომელიც უკვე იმპერიის სულიერი ცენტრი ხდებოდა. იმპერიის ახალი დედაქალაქის სტატუსი მის ახალ მისიონერულ მოთხოვნებსაც უნდა შეხამებოდა, რაც სათანადო პატივის უპირატესობას მოითხოვდა იერარქიულ წყობაში. იმპერიის დედაქალაქის სტატუსი ძლიერი სულიერი ცენტრის სტატუსს საჭიროებდა, საიდანაც იმპერიის საზღვრებს გარეთ მყოფ ერებში ქრისტიანობა გავრცელდებოდა. ეგვიპტეში, სირიასა და პალესტინაში გავრცელებულმა მონოფიზიტიზმმა ქრისტიანული სამყაროს ერთობას საფრთხე შეუქმნა.

ამიტომაც, აუცილებელი გახდა კონსტანტინოპოლის ეკლესი-ისათვის საგანგებო ადგილისა და მისსიის განჩინება.

აქედან გამომდინარე, ქალკედონის კრებამ, რომლის წინაშეც ეს მოვლენები ვითარდებოდა, დაადგინა 28-ე კანონი, რომელიც ფაქტობრივად მეორე მსოფლიო კრების მე-3 კანონის განვრცობა იყო. ამ კანონში განსაზღვრულია კონსტანტინოპოლის კანონი-კური ადგილი პენტარქიის სისტემაში და მისი უფლებები და პრივილეგია. რა იყო ეს პრივილეგია და უფლებები? უპირვე-ლესად ის, რომ მის იურისდიქციაში შედიან თრაკიის, პონტოსა და აზიის დიოცეზები, და ასევე, უცხო ტომთა (ბარბაროსთა ქვეყ-ნების) ეპისკოპოსების ხელდასხმა.

28-ე კანონი არ არის რაიმე ნეოტერიზმი იმ გაგებით, რომ მას რაიმე ცვლილება შეეტანა აღმოსავლეთის ეკლესიებს შორის ურთიერთობაში, ან რაიმე ზიანი მიეყენებინა დასავლეთში რომის პირველობის საკითხს. კონსტანტინოპოლი, როგორც დედაქა-ლაქის ეკლესია, მანამდეც ერთგვარი ცენტრი იყო აღმოსავლეთის ეკლესიებისათვის სხვადასხვა პრობლემების მოგვარებისათვის. ამ კანონის მიღების მიზანი ან სურვილი არ ყოფილა „დიდების-მოყვარეობა"; შეუძლებელია მსგავსი მიზანი მივაწეროთ მეორე და მეოთხე მსოფლიო კრებების მამებს. უბრალოდ, 28-ე კანონი იყო აღმოსავლეთის ეპისკოპოსების პატივისცემის გამოხატულება დედაქალაქის ეპისკოპოსისადმი, ერთგვარი დადასტურება იმ ისტორიული ჭეშმარიტებისა, რომ კონსტანტინოპოლის ეკლესია იყო ქრისტიანული აღმოსავლეთის ცენტრი[1].

---

[1] 28-ე კანონის მნიშვნელოვნება მდგომარეობს არა ხელდასხმების უფლებაში, რისი აღიარებაც ხდება კონსტანტინოპოლთან მიმართებაში, რადგან რეალურად არაა საუბარი უფლებამოსილებების გაცემაზე, არამედ არსებული მდგომარეობის აღიარებაზე. ამის შესახებ მეტყვე-ლებს უამრავი ისტორიული ფაქტი (381-451 წლებში იხ. V. Monchino, Genesi Storica del canone28e di Calcedonia, Gregorianum, 33 (1952), 261-291): ისტორიკოს თეოდორიტეს თანახმად, უკვე იოანე ოქროპირი (398-404) ზრუნავდა არა მხოლოდ მის საეპისკოპოსოზე (კონსტანტინოპოლის) მრევლზე, არამედ სრულიად თრაკიის და აზიის და პონტოსისაზე. საეკლესიო ისტორიკოსი სოკრატე გვატყობინებს, რომ თეოდოსი II-ის მიერ გამოცემულ იყო „ნომოსი" რომლის მიხედვით, კონსტანტინოპოლის

ქალკედონის კრების 28-ე კანონი ორ ნაწილად იყოფა; პირველ ნაწილში ფაქტობრივად დასტურდება მე-3 კანონის შინაარსი, რომელიც მეორე მსოფლიო კრებაზე მიიღეს, რომელიც ქალკედონის კრების წინ ჯერ კიდევ არ იყო აღიარებული მსოფლიო კრებად. მეორე ნაწილში აღიარებულია კონსტანტინოპოლის ძალაუფლება არა მხოლოდ თრაკიის, აზიისა და პონტოს დიოცეზებში, არამედ არაბერძენი (ბარბაროსთა) ქვეყნებში მყოფ ეპისკოპოსებზეც. ამ კანონის მეორე ნაწილის შინაარსის საფუძველი ნიკეის კრების კანონიკური ტრადიციაა, რომლის მიხედვითაც, დიდი მნიშვნელოვნების ქალაქების ეპისკოპოსების პრაქტიკული, ანუ რეალური ძალაუფლება და ავტორიტეტი შესაძლებელი იყო განხორციელებულიყო როგორც ამ საყდრის უფლება, ანუ იურისდიქცია უდიდეს გეოგრაფიულ მხარეებში. 28-ე კანონის მეშვეობით კრების მამებმა განსაზღვრეს ის ქვეყნები და დიოცეზები, რომლებზეც იქნებოდა კონსტანტინოპოლის, როგორც „პირველის“, იურისდიქცია. და ეს უფლებები იყო სწორედ ახალი ელემენტი კანონის შინაარსში.

ცნობილი კანონოლოგები ამ კანონს ნიკეის კრების კანონების პრინციპების პრიზმაში განიხილავენ: ა) ხშირ შემთხვევებში განსაკუთრებული მნიშვნელოვნების ქალაქების ეპისკოპოსები ფლობდნენ ერთგვარ გავლენასა და უფლებებს სხვა ეკლესიებზე; ბ) რომის ეკლესიის ადგილი გამოყენებულ იქნა როგორც წინასახე და პრეცედენტი კონსტანტინოპოლის უფლებებსა და ადგილთან მიმართებით. ამ პრინციპებს მიჰყვა მეორე მსოფლიო კრებაც, რომელმაც, ითვალისწინებდა რა კონსტანტინოპოლის უდიდეს საეკლესიო ავტორიტეტს და პოლიტიკური სინამდვილეს, დაუყოვნებლივ მიმართა ახალ საეკლესიო წყობას. ამ ახალი წყობით კონსტანტინოპოლს განეკუთვნა „პატივის უპირატესობის“ მეორე

ეპისკოპოსის აზრის გაუთვალისწინებლად არ უნდა მომხდარიყო ეპისკოპოსის ხელდასხმა. კონსტანტინოპოლის მიმართ ამგვარი უფლება ე.ი პონტოს, აზიის და თრაკიის მიტროპოლიტების ხელდასხმისა, არსებითად ზღუდავდა ამ დიოცეზების მიტროპოლიტების უფლებებს, ეს უკვე გასაგები გახდა კონსტანტინოპოლის ანატოლიოსის ეპისტოლეში, სადაც კონსტანტინოპოლის ამ უფლებებზეა საუბარი.

ადგილი რომის შემდეგ. ეს არის მეორე მსოფლიო კრების მე-3 კანონი, რომელიც ქალკედონის 28-ე კანონის მიღების საფუძველი გახდა. თუმცა მაშინ მეორე კრებას არ განუკუთვნებია კონსტანტინოპოლისათვის ანალოგიური მართველობითი ძალაუფლება, რაც მას მოგვიანებით მეოთხე მსოფლიო კრებამ აღასრულა:

1. კონსტანტინოპოლის ძალაუფლება უსწრაფესი ტემპით განისაზღვრა, ხოლო მისი იურისდიქცია განივრცო ფართო ტერიტორიაზე, განსაკუთრებით აღსანიშნავია თრაკიის, პონტოსა და აზიის დიოცეზები;

2. ნიკეის პირველ მსოფლიო კრებაზე რომის პატივი მე-6 კანონითაა განსაზღვრული, თუმცა მას ამ პირველობის სხვა რამ დამატებითი განმარტება არ მისცემია. კონსტანტინოპოლის პატივის წინასახე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იყო რომის ეკლესიის პატივი. აქვე ვიტყვით, რომ მე-6 კანონი დიდი ქალაქების ეკლესიების იურისდიქციას მხოლოდ ერთი დიოცეზის საზღვრებით განსაზღვრავს (საუბარია რომის, ალექსანდრიისა და ანტიოქიის ეკლესიების იურისდიქციაზე), თუმცა ამ ქალაქების ეპისკოპოსები ზოგჯერ საკუთარი დიოცეზების საზღვრებს გარეთაც მოქმედებდნენ (ანტიოქიის ევზოიოსმა ალექსანდრიაში, ათანასე დიდის შემდეგ, არიანელი ეპისკოპოსი ლევკოინი დაადგინა; ალექსანდრიელები ბევრს ეცადნენ, რომ კონსტანტინოპოლში მაქსიმე დაედგინათ). ამიტომაც, მეორე მსოფლიო კრების მე-2 კანონი კრძალავს მსგავს ქმედებებს და მკაცრად განუსაზღვრავს დიდი ქალაქების ეპისკოპოსებს თავიანთი მოქმედების საზღვრებს.

რა არის ახალი ქალკედონის კრების კანონებში? უპირველესად ის, რომ ერთი რომელიმე ეკლესიის ძალაუფლების კრიტერიუმი აღარ ეფუძნება ამ ეკლესიის სხვა ეკლესიებზე საეკლესიო თუ ეთიკურ ზეგავლენას, არამედ იმ ფაქტს, რომ ეს ეკლესია უკვე არის იმპერიის დედაქალაქი და სინკლიტის ადგილსამყოფელი. რა არის აქედან მნიშვნელოვანი: 1. რომის პატივი არაა საღვთო სამართლის შედეგი, არამედ წმინდა წყლის საეკლესიო განსაზღვრულობა, რაც ნიკეამდელ ტრადიციას ეფუძნება, რომელ-

მაც რომის ეკლესიას განსაკუთრებული ადგილი განუკუთვნა ქრისტიანულ სამყაროში; 2) რომის პირველობის ინსტიტუტის ჩამოყალიბება, გარდა მისი საეკლესიო ავტორიტეტულობისა, განაპირობა პოლიტიკურმა ფაქტორებმაც – ის იყო იმპერიის დედაქალაქი და აქედან გამომდინარე, სამეფო საყდარი; 3) ამ მიზეზების გამო, ქალკედონის კრებამ განსაზღვრა და დაადგინა, რომ მსგავსი პატივის უპირატესობა მიენიჭებინათ ახალი რომისთვისაც, რადგანაც ისიც არის სამეფო საყდარი.

28-ე კანონის მიერ განისაზღვრა კონსტანტინოპოლის ადგილი, რაც მდგომარეობდა თანასწორ პატივში ძველ რომთან ერთად. კონსტანტინოპოლის ეს იურისდიქცია უკვე მოიცავდა ცნობილ სამ დიოცეზს, მაგრამ კანონი გრძელდება „უცხო ერთა (ბარ-ბაროსთა) ქვეყნების ეპისკოპოსთა“ ხელდასხმის უფლების კონსტანტინოპოლზე განკუთვნებით. ამ ადგილმა საუკუნეების განმავლობაში დიდი დავა გამოიწვია კანონოლოგებს შორის. რა გაგება და აზრია ჩადებული სიტყვებში – „უცხო ერთა“? ან რა კონტექსტშია ის გამოყენებული ხსენებულ კანონში?

თავად სიტყვა „ბარბაროზი“ ამ კანონში, ზოგიერთი კანონოლოგის აზრით, ეთნიკური მნიშვნელობის მატარებელია. მაგრამ ამ სიტყვას გეოგრაფიული მნიშვნელობა და გამოყენებაც აქვს. ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო კრების მე-2 კანონშიც გამოიყენება ეს ტერმინი „უცხო ტომთა“ (სიტყვასიტყვით ბარბაროზთა ტომის), მაგრამ გეოგრაფიული ანუ ტოპოგრაფიული მნიშვნელობით: ა) მოციქულთა 34-ე კანონში გამოიყენება ფრაზა „ყოველი ერის, ტომის“, რაც ყველა კანონოლოგის მიერ გაიგება როგორც საეკლესიო ეპარქია (provincia), ანუ აქვს ტოპოგრაფიული მნიშვნელობა; ბ) იოანე ოქროპირი თავის XI ჰომილიაში ეფესელთა ეპისტოლის განმარტებისას საუბრობს მოციქულებზე, რომლებსაც რამე კონკრეტული მოქმედების არეალი არ ჰქონიათ, არამედ მიმოიქცეოდნენ „ყოველ მორწმუნე ერში“ (έθνος). აქაც ტერმინი „ერი“ ან „ტომი“ გამოყენებულია ეპარქიის მნიშვნელობით; გ) სოკრატეს საეკლესიო ისტორიაში გვხვდება „ილირიის ერი“ და აქაც ეპარქიის, პროვინციის გაგებით; დ) ამავე მნიშვნელობით იყენებს სიტყვა „ერს“ („ტომს“) სოზომენეც თავის საეკლესიო

ისტორიაში, ანუ გეოგრაფიული პროვინციის მნიშვნელობით; ე) სწორედ მსგავსი მნიშვნელობით უნდა იქნეს გაგებული ეს სიტყვა მეორე მსოფლიო კრების მე-2 კანონშიც, სადაც საუბარია იმ ეკლესიებზე, რომლებიც იყვნენ ბარბაროზთა პროვინციებში, ანუ რომის იმპერიის საზღვრებს გარეთ (Hefele-Leclerq, Histoire des Conciles, t. 2, 24; L. Duchesne, Histoire ancienne de l' Eglise, t. 2, 457).

მეოთხე მსოფლიო კრების მამებმა, გაარღვიეს რა კონსტანტინოპოლის საყდრის იურიდიული საზღვრები, შეიყვანეს მის ხელმწიფებაში თრაკია, პონტო და აზია და შემდეგ მათ საზღვრებს გარეთ მყოფი ეპისკოპოსებიც, რათა ამგვარად წარმოეჩინათ რომის იმპერიის საზღვრებს გარეთ არსებული ყველა უცხო ერთა ანუ ბარბაროზთა ქვეყნებში არსებული ეკლესიები.

კანონის ამ ადგილთან დაკავშირებით სხვადასხვა განმარტება არსებობს, მაგრამ რა კავშირიც არ უნდა მივიღოთ იქ გამოყენებულ ფრაზებს შორის, კანონოლოგების დიდი ნაწილი ამბობს, რომ სამი დიოცეზის – თრაკიის, პონტოსა და აზიის პარალელურად საუბარია იმ ეკლესიებზე, რომლებიც რომის იმპერიის საზღვრებს გარეთ მდებარეობენ. ეს კანონი ცხადად ადგენს, რომ ხელი დაასხას კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ბარბაროზთა ერებში მყოფ ეპისკოპოსებს, არა ზემოხსენებული ეპარქიების საზღვრებში, არამედ მათ საზღვრებსა და იმპერიის საზღვრებს გარეთაც; რადგან, თუ უცხო ტომების ანუ ბარბაროზთა ეპარქიების ეპისკოპოსები იქნებოდნენ ზემოხსენებული სამი დიოცეზის საზღვრებში, მაშინ, 28-ე კანონისვე თანახმად, მიტროპოლიტებს უნდა დაესხათ მათთვის ხელი და არა კონსტანტინოპოლის პატრიარქს, რომელიც ამ კანონის თანახმად, მხოლოდ მიტროპოლიტებს ასხამს ხელს და ადგენს მათ ამ სამ ზემოხსენებულ დიოცეზში, ხოლო თავის მხრივ, მიტროპოლიტები ხელს ასხამდნენ და ადგენდნენ ეპისკოპოსებს თავის დიოცეზებში, რაც მანამდეც განსაზღვრული იყო უკვე პირველი და მეორე მსოფლიო კრებების კანონებით. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ზოგი კანონოლოგი, ამ კანონის კომენტირებისას ამბობს, რომ ტერმინში „უცხო ტომთა, ანუ ბარბაროზთა“ უნდა ვიგულისხმოთ თრაკიაში,

პონტოსა და აზიაში არსებული უცხო ტომელთა ეპარქიებიო, თუმცა მოგვიანებითი ხანის კანონოლოგები ამ ტერმინში მხოლოდ ტოპოგრაფიულ გაგებას დებენ, რასაც მთელი კანონიკური ტრადიცია და გამოცდილება ადასტურებს.

28-ე კანონით ქალკედონის კრებამ ოდნავადაც არ შეზღუდა სხვა ავტოკეფალიური ეკლესიების უფლებები (ალექსანდრია, ანტიოქია, იერუსალიმი). არც სხვა, უცხო ეპარქიებში შეჭრის უფლება მიიღო, არამედ უფლება იმ ეპისკოპოსთა ხელდასხმებზე, რომლებიც ბიზანტიის საზღვრებს გარეთ მდებარეობდნენ – შუა და ჩრდილოეთ ევროპაში, ხმელთაშუა ზღვიდან ვიდრე ბალტიის ზღვამდე, ანუ იმ ეპარქიებამდე, რომლებშიც რომის ეკლესიის იურისდიქცია ვრცელდებოდა. ქალკედონის კრების შემდეგ კონსტანტინოპოლის ეკლესიამ მიიღო აღმოსავლეთის სივრცეში საეკლესიო გაგებით პირველი ადგილი, რაც მართველობით და სასამართლო უფლებებზე აისახა; ყოველი ქვეყანა, რომელიც არ განეკუთვნებოდა რომელიმე საეკლესიო იურისდიქციას, ანუ იყო რომელიმე ავტოკეფალური ეკლესიის იურისდიქციის გარეთ, შედიოდა კონსტანტინოპოლის საყდრის იურისდიქციაში; კონ-სტანტინოპოლის ეკლესიამ მიიღო აპელაციის უფლება იმ კლერიკოსებზეც, რომელნიც კონსტანტინოპოლის საეკლესიო იურისდიქციის საზღვრებს გარეთ იყვნენ (Hefele-Leclerq, L. Duchesne; Hieromoin Pierre, Vasiliev, Uspensky და სხვები)[2].

ქალკედონის კრების მიერ მიღებული კანონები პენტარქიის თაობაზე დაადასტურა ტრულის მსოფლიო კრების 36-ე კანონმა,

---

[2] კანონის ამ მონაკვეთს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დღე-ვანდელ სინამდვილეში. დიასპორის ეკლესიების არსებობამ სერიოზული პრობლემები წარმოშვა საეკლესიო ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებით. დღეს არსებული მდგომარეობით უხეშად ირღვევა პირველი მსოფლიო კრების მე-8 კანონი, რომლის მიხედვითაც, ერთ ქალაქში არ შეიძლება ერთ ეპისკოპოსზე მეტი იყოს. დიასპორის ეკლესიების წარმოშობამ და ამ პრაქტიკის განვრცობამ თითქმის ყველა ავტოკეფალური ეკლესიის მიერ (გამონაკლისია ალექსანდრიის, იერუ-სალიმის, კვიპროსის, ელადისა და ალბანეთის ეკლესიები, რომელთაც დიასპორის ეკლესიები არ აქვთ) სერიოზული დისონანსი შეიტანა მართლმადიდებელი ეკლესიების ერთობასა და ჰარმონიულ არსებობაში.

რომელიც ფაქტობრივად საბოლოო სახით განაჩინებს საყდრების განლაგებას: რომი, კონსტანტინოპოლი, ალექსანდრია, ანტიოქია და იერუსალიმი. ეს კანონი არ გამოხატავს ბოლო სამი საყდრის სამართლებრივ დამოკიდებულებას პირველ ორ საყდარზე. იგი ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის საყდრებისათვის განაჩინებს ადგილის პრივილეგიას და ამ პრივილეგიის საფუძვლად მათ პოლიტიკურ მნიშვნელოვნებაზე მიანიშნებს. იერუალიმის მეხუთე ადგილიც ნაკლები პოლიტიკური მნიშვნელოვნებით აიხსნება. იერუსალიმი ქრისტიანობის აკვანი იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას პირველი ადგილი არ განკუთვნებია, რადგანაც პოლიტიკური თვალსაზრისით ის არ იყო მნიშვნელოვანი ქალაქი; უფრო მეტიც, პირველი მსოფლიო კრების მე-7 კანონში ნათლად ჩანს, რომ პალესტინაში ჯერ კიდევ IV საუკუნეში პატივის უპირატესობას კესარია ფლობდა და არა იერუსალიმი.

ტრულის მსოფლიო კრების 36-ე კანონი პენტარქიის სისტემაში ამ ხუთი საყდრის ადგილების კანონიკურ წყობაა. რომისა და კონსტანტინოპოლის თანაბარი უპირატესობა საეკლესიო მმართველობაზე მათი დიდი გავლენების ერთგვარი პირობა გახდა.

რაც შეეხება გვიანი ბიზანტიური ხანის შემდეგ პერიოდს, მსოფლიო საპატრიარქო გახდა ერთგვარი ღერძი მართლმადიდებელი ეკლესიების მართველობითი მოწყობისათვის, რადგან ის იყო პირველი საყდარი და გარდა ამისა, იურიდიულად და ფაქტობრივად ფლობდა ფართო მართველობით უფლებამოსილებებს. კონსტანტინოპოლის დაცემისათვის იგი თავის იურისდიქციაში მოიცავდა საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას ხმელთაშუა ზღვიდან ვიდრე ბალტიის ზღვამდე და ცენტრალური ევროპიდან ვიდრე ვოლგამდე.

VII-VIII საუკუნეებში აღმოსავლეთის საპატრიარქოების დასუსტების, ხოლო მოგვიანებით, დიდი სქიზმის შემდეგ, განსაკუთრებით გაფართოვდა მსოფლიო საპატრიარქოს მოქმედების ფარგლები მართლმადიდებლურ სამყაროში. მას შემდეგ, რაც სირია, პალესტინა და ეგვიპტე თურქული სახელმწიფოს შემადგენლობაში მოხვდნენ (XVII ს), უფრო მეტად გაიზარდა აღმო-

სავლეთის პრეზვიგენული საპატრიარქოების კოორდინაცია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან, რომელიც ფაქტობრივად ყველა მართლმადიდებელს წარმოადგენდა თურქულ სახელმწიფოში.

მართლმადიდებელი ეკლესია, რა თქმა უნდა, ვრცელდებოდა თურქული სახელმწიფოს საზღვრებს გარეთაც, მაგრამ არა მსოფლიო საპატრიარქოს სულიერი მისიონერობის საზღვრებს გარეთ.

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს შესახებ საუბრისას, ცნობილი მეცნიერი ოლივიე კლემანი ამბობს, რომ „პირველობა არაა რაღაც რამ ბატონობა სხვებზე, არამედ პატივი; თანაზიარება პირველ საყდართან, პირველ ეპისკოპოსთან ნიშნავს იმის დადასტურებას, რომ ეკუთვნის მსოფლიო, კათოლიკე ეკლესიას. პირველ ეპისკოპოსს აქვს პრივილეგია მსოფლიო ან პანორთოდოქსული კრების მოწვევის ინიციატივისა და მისი თავმჯდომარეობისა“[3].

დიდი სქიზმის შემდეგ კონსტანტინოპოლის ეკლესიამ მიიღო უფრო მეტი პასუხისმგებლობა მართლმადიდებელი ეკლესიების ერთობის დაცვისათვის. კონსტანტინოპოლი არა ეკლესიათა ფედერაციის თავმჯდომარე, არამედ მართლმადიდებელი ეკლესიების შემაკავშირებელი რგოლია. „კონსტანტინოპოლს ეს პირველობა აქვს კანონიკური მოწესრიგებისა და ადმინისტრაციული მოწყობის ხანგრძლივი ისტორიული და კანონიკური გამოცდილების მეშვეობით.

„ეს პრივილეგია ჰქონდა ძველ რომს, მაგრამ სქიზმის შემდგომ პერიოდში ყველა აღმოსავლეთის ეკლესია უკვე თავს იყრის კონსტანტინოპოლის წინ, რომელიც, როგორც ეს კანონებიდან ჩანს, ფლობს იგივე პირველობას ფლობს, როგორსაც რომი.

ეს პირველობა არაა უბრალოდ პატივი, ან პრივილეგია, რადგან, სხვა მხრივ, კონსტანტინოპოლის დღევანდელი მატერიალური უძლურება, მისი ფინანსური სიმწირე გარკვეულწილად მისსავე უანგარობას განაპირობებს, და ყოველივე ეს, რაოდენ

3

პარადოქსულიც არ უნდა იყოს, მის ძალმოსილებასა და ავტორიტეტს კიდევ უფრო ამაღლებს და განამტკიცებს.

მისი პირველობა არაა ძალაუფლება, არამედ ყველა მართლმადიდებლის რწმენისა და ერთობის დაცვისათვის შუამდგომლობა, ანუ მსახურებითი ძღვენი. მისი მსახურება მიმართულია ადგილობრივი ეკლესიების კოორდინაციისა და მათი შეკრებების თავმჯდომარეობისათვის. ეს პირველობა აუცილებელია მართლმადიდებლობის ერთობისა და საყოველთაოობის გარანტიისატვის"[4].

IX საუკუნის ნაშრომი „ἐπαναγωγή τοῦ Νόμου"[5] პირდაპირ აღიარებს კონსტანტონოპოლის საყდრის უფლებას მიიღოს საჩივრები. იმავეს ამბობს მათე ვლასტარიც (XIV ს.) თავის ცნობილ ნაშრომში „Σύνταγμα κατά Στοιχεῖον"[6].

1848 წლის აღმოსავლეთის პატრიარქთა სინადური ეპისტოლეში კონსტანტინოპოლის მიერ საჩივრის მიღების უფლების პყრობას აღმოსავლეთის პატრიარქები არა მხოლოდ იმით ამტკიცებენ, რომ კონსტანტინოპოპოლი საიმპერატორო კათედრა იყო, არამედ იმითაც რომ მას ჰქონდა სინოდრი „უპირატესობა".[7]

ზემოწამოდგენილი მცირე მაგალითები, რომლებიც მოვიყვანეთ ოფიციალური დოკუმენტებიდან და წმინდა კანონების განმარტებელთაგან ადასტურებენ კონსტანტინოპოლის საყდრის მიერ საჩივრის მიღების უფლების პყრობას. ზუსტად იმავეს მოწმობს და ადასტურებს უწყვეტი კანონიკური პრაქტიკაც.

შემოთავაზებული მაგალითები:

- 394 წელს კონსტანტინოპოლში მოხდა ვოსტორის ეპისკოპოსის ვაგადიოსის განსჯა, რომელიც შედიოდა ანტიოქიის

4

5 Zepos P., Jus Graecoromanum II, 242-243.

6 Ρ.Π. ΣΤ', 429.

7 Καρμίρης, Τά Δογματικά καί Συμβολικά Μνημεῖα τῆς Ὀρθοδόξου Καθολικῆς Ἐκκλησίας, Β΄, Ἀθῆναι 1953, 916.

საყდრის იურისდიქციაში. სასამართლოს ესწრებოდნენ ანტიოქიის და იერუსალიმის პატრიარქები.[8]

● პროკლე კონსტანტინოპოლელი (434-446 წწ.) კანონიერად მიიჩნევს ალექსანდრეს ანტარადოს ეპისკოპოსად არჩევას[9]. ეს საქმე კონსტანტინოპოლის საყდრის წინაშე თვითონ ალექსანდრემ წარადგინა.

● წმ. ფოტიოსის (IX ს.) ნომოკანონი კონსტანტინოპოლს აღიარებს აღმოსავლეთის ყველა ეკლესიის თავად.[10]

● პატრიარქი ლუკა ქრისოვერგი (1157-1170) აუქმებს ამათუნდოს ეპისკოპოსის განკვეთას კვიპროსში, რომელმაც მიმართა კონსტანოტონოპოლს[11]

● კონსტანტინოპოლის პატრიარქი კალისტო I (1355) ტირნობის მთავარეპისკოპოსს მიუთითებს კონსტანტინოპოლის საყდრის უფლებაზე, განსაჯოს სხვა საპატრიარქოების საქმეები.[12]

● ანალოგიურად მოქმედებს პატრიარქი კალისტო (1356 წ.) თავის ეპისტოლეში ანტიოქიის პატრიარქის მიმართ და იშველიებს წმინდა კანონებს[13][20].

● პატრიარქი ნილოსი (1382 წ.) თესალონიკის მიტროპოლიტის მიმართ ეპისტოლეში[14] მოიხმობს ქალკედონის მე-9 და მე-17 კანონებს.

● პატრიარქ დიონისეს III დროს ჩატარებულ კრებაზე (1663 წ.) ალექსანდრიის, ანტიოქიის და იერუსალიმის პატრიარქები აღიარებენ კონსტანტნოპოლის უფლებას, მიღოს საჩივრები.[15]

---

[8] Grumel V., Les Regestes des Actes du Patriarchat de Constantinople, Vol. I, Fasc. I. Paris 1972, N. 10.

[9] V. Grumel, Les Regestes, N. 88.

[10] Ρ.Π. Α΄, 42.

[11] V. Grumel, Les Regestes, N. 1097.

[12] F. Miklosich – I. Müller, Acta et diplomata Graeca medii aevi sacra et profana, Tom. I, Vienne 1860, 438.

[13] F. Miklosich – I. Müller, Acta, I, 380.

[14] F. Miklosich – I. Müller, Acta, I, vol. 2, 40.

[15] Κ. Δελικάνης, Πατριαρχικά Ἔγγραφα, Γ΄, 102-103.

● კონსტანტინოპოლის პატრიარქმა დიონისემ (1672 წ.) განკვეთა ანტიოქიის პატრიარქი კირილე ანტიოქიის საპატრიარქოს მიტროპოლიტების მოთხოვნის შემდეგ.[16]

● იმავე პატრიარქმა გაამართლა კვიპროსის დასჯილი პატრიარქი ნიკიფორე, „მსოფლიო კრიტერიუმის", ანუ კონსტანტინოპოლის საყდრის წინაშე აპოლოგიის შემდეგ.[17]

● პატრიარქი პაისი II ამტკიცებს ხალეპის მიტროპოლიტი გერასიმეს განკვეთას[18] ანტიოქიის პატრიარქი სილვესტრის მოთხოვნის შემდეგ (1746 წ.).

● XVIII საუკუნეში კონსტანტინოპოლის მრავალი პატრიარქი, იერუსალიმის პატრიარქების მიმართვის შემდეგ, გმობს სინას მთის მთავარეპისკოპოსების მცდელობას, გათავისუფლდნენ იერუსალიმის საყდრის სულიერი მეთალყურეობისგან.[19]

● კონსტანტინოპოლის პატრიარქი ანთიმოზი (1872 წ.) წმინდა საფლავის საძმოს თხოვნის შემდეგ ამტკიცებს იერუსალიმის პატრიარქ კირილეს ტახტიდან გადაყენებას.[20]

● როდესაც მოსკოვის საპატრიაქომ ავტოკეფალია მიანიჭა პოლონეთის ეკლესიას (1949 წ.), როდესაც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს უკვე მინიჭებული ჰქონდა ავტოკეფალია (1924 წ.), პატრიარქი ათენაგორა თავისი ეპისტოლით[21] მიუთითებს მოსკოვის პატრიარქს, რომ მხოლოდ კონსტანტინოპოლის საყდრის ექსკლუზიური უფლებაა, განიხილოს საკითხები მისი იურისდიქციის ფარგლებს გარეთ. ამ უფლების გამოყენების მაგალითია პოლონეთის ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭება (მოგვიანებით კი საქართველოს ეკლესიითვის – 1990 წ.).

---

[16] Κ. Δελικάνης, Πατριαρχικά Ἔγγραφα, Β΄, 59-164.
[17] Κ. Δελικάνης, Πατριαρχικά Ἔγγραφα, Β΄, 557-559.
[18] Κ. Δελικάνης, Πατριαρχικά Ἔγγραφα, Β΄, 190.
[19] Κ. Δελικάνης, Πατριαρχικά Ἔγγραφα, Β΄, 377-381,387, 410-422, 455.
[20] Χρυσ. Παπαδόπουλος, Ἱστορία τῆς Ἐκκλησίας τῶν Ἱεροσολύμων, Θεσσαλονίκη 2010, 837 ἑξ.
[21] Βλ. Ὀρθοδοξία 25 (1950) 129-130.

● ბულგარეთში წარმოქმნილი სქიზმის გამო ბულგარეთის პატრიარქმა მაქსიმემ მიმართა[22] კონსტანტინოპოლის პატრიარქ ბართლომეოსს. ბრობლემის გადასაჭრელად სოფიაში პატირარქ ბართლომეოსის თავმჯდომარეობით მოწვეულ იქნა დიდი კრება (Μείζων Σύνοδος).

● როდესაც იერუსალიმის საპატრიარქოს სინოდმა გადაყენებულად გამოაცხადა პატრიარქი ირინეოსი (2005) წმინდა საფლავის საძმომ კონსტანტინოპოლისგან ითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილება დაემტკიცებინა კონსტანტინოპოლის საყდარს, რომელმაც მოიწვია პირველმოსაყდრეთა კრება, სადაც მიღებული გადაწყვეტილება დამტკიცდა.[23]

ყოველივე ზემონათქვამი უდავოდ ადასტურებს, რომ კონსტანტინოპოლის საყდარი მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის წარმოადგენს უმაღლეს, „მსოფლიო კრიტერიუმს“ სხვადასხვა ეკლესიაში დროდადრო წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტისთვის. კონსტანტინოპოლის საყდარს არასოდეს მიუჩნევია საჩივრის მიღების უფლება ვინმეზე ბატონობის შესაძლებლობად, არამედ მუდამ ხაზს უსვამდა, რომ მის მოვალეობაა მნიშვნელოვან საკითხებში თანადგომა, რომლის ერთადერთი მიზანია წყლულებათა განკურნება ეკლესიაში, სიმშვიდის და კანონიკური წესრიგის აღსადგენად. შესაბამისად, საჩივრის მიღების უფლება სხვა არაფერია თუ არა უსაფრთხო კლიტე, რომელიც საღვთო შეწევნით ბრძნულად განაწესეს მსოფლიო კრებების წმინდა მამებმა მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის მშვიდობის და ერთობის დასაცავად.

---

[22] Βλ. Ὀρθοδοξία 5 (1998) 620-621.

[23] Βλ. Ἐκκλησία 82 (2005) 556-557.